



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენტან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media).

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,  
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. Thomson Reuters-ის ტრენინგი ჟურნალისტებისთვის
2. კიმ ვოლის ფონდის გრანტები
3. პროგრამა ადამიანის უფლებების თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის
4. სამუშაო გრანტები ტრანსსასაზღვრო პროექტებისთვის
5. საქართველოს ქალთა ფონდის საგრანტო კონკურსი
6. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საგრანტო კონკურსი
7. სტაჟირება Associated Press-ში
8. გაეროს გრანტი პროექტებისთვის
9. Filmmakers Without Borders-ის საგრანტო კონკურსი
10. ნიუ-იორკის სასტიპენდიო პროგრამა ბიზნეს ჟურნალისტიკის მიმართულებით
11. ფოტოკონკურსი
12. National Geographic-ის გრანტი
13. მიგრაციის თემაზე შექმნილი ფილმების ფესტივალი
14. დოკუმენტური ფილმების ფესტივალი
15. პრემია საგამოძიებო ჟურნალისტიკაში
16. პრემია საუკეთესო საგამოძიებო მასალისათვის, რომელიც კორუფციასა და მექრთამეობას ეხება
17. სასტიპენდიო პროგრამა ჟურნალისტებისთვის ოქსფორდში
18. პროგრამა ჟურნალისტებისთვის, მთავარი რედაქტორებისათვის და გამომცემლებისთვის
19. სტიპენდია ჟურნალისტებისთვის რომლებიც იღვწებიან
20. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

## 1. Thomson Reuters-ის ტრენინგი ჟურნალისტებისთვის

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Thomson Reuters იწვევს კურსდამთავრებულებს ან სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა 9 თვიან სასწავლო პროგრამაში. პროგრამის პირველი ნაწილი მოიცავს ერთთვიან ტრენინგს ლონდონში, შემდგომ მონაწილეები გაივლიან პრაქტიკას ჩინეთის, სინგაპურის, ბრიტანეთის, მექსიკის, სამხრეთი აფრიკის, ეგვიპტის, ლიბანის ან გაერთიანებული საემიროების ფილიალში. მონაწილეებმა უნდა გამოხატონ დაინტერესება ჟურნალისტიკის მიმართ და ასევე ფლობდნენ ინგლისურს მაღალ დონეზე. დამატებითი ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად მაგრამ სავალდებულო არ არის.

**დანვრილებით:** <https://tmsnrt.rs/2YuEMhv>

**განაცხადის ვადა:** 15 დეკემბერი, 2019 წ.

## 2. კიმ ვოლის ფონდის გრანტები

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

მედიაში დასაქმებულ ქალთა საერთაშორისო (IWMF) აცხადებს განაცხადების მიღებას კიმ ვოლის სახელობის საგრანტო კონკურსზე, <https://www.rememberingkimwall.com/>.

მონაწილეობა შეუძლიათ ქალ ჟურნალისტებს, რომელთაც გააჩნიათ არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება. ყოველწლიურად ფონდი გასცემს თითო გრანტს 5 ათასი დოლარის ოდენობით. გრანტის მიმღებს ასევე გაუწევენ კონსულტაციებს.

საგრანტო თანხა განკუთვნილია ჟურნალისტური პროექტების განხორციელებისათვის. ხარჯი შეიძლება ფარავდეს: მგზავრობას, ვიზის ღირებულებას, თარჯიმნის საქმიანობას და ა. შ.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2RAEBjl>

**განაცხადის ვადა:** 16 დეკემბერი 2019 წ.

### 3. პროგრამა ადამიანის უფლებების თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Institute for the Study of Human Rights (ISHR) აცხადებს განცხადების მიღებას ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამაში ჩასართავად. ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მცირე შემოსავლის მქონე ჟურნალისტებს. პროგრამა დაიწყება 2020 წლის აგვისტოში და გაგრძელდება დეკემბრამდე.

პროგრამა გამოიყენებს კოლუმბიის უნივერსიტეტის და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსებს, როგორცაა Human Rights Watch <http://www.hrw.org/> და WITNESS <http://www.witness.org/>.

მონაწილეები გაივლიან ტრენინგებს, დაესწრებიან სემინარებს, შეხვედებიან პოლიტიკოსებს და პოტენციურ სპონსორებს.

ISHR პროგრამის მონაწილეებს სთავაზობს სრულ დაფინანსებას, სტიპენდიის ჩათვლით..

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2qD2oEo>

**განაცხადის ვადა:** 16 დეკემბერი 2019 წ.

### 4. სამუშაო გრანტები ტრანსსასაზღვრო პროექტებისთვის

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Journalismfund.eu ფონდის ინიციატივა Money Trail გთავაზობთ შესაძლებლობებს გამოიძიოთ საერთაშორისო საფინანსო ნაკადები, გადასახადებისაგან თავის არიდების და კორუფციული შემთხვევები აფრიკაში, ევროპასა და აზიაში.

კონკურსზე მიიღება მხოლოდ და მხოლოდ შერეული კონტინენტთაშორისი გუნდების განაცხადები, რომლებიც აერთიანებს ჟურნალისტებს აფრიკიდან, აზიიდან ან ევროპიდან. გუნდში უნდა იყონ წარმომადგენლები მინიმუმ ორი კონტინენტიდან. გრანტის საერთო თანხაა 50 000 ევრო.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/33WZCaw>

**განაცხადის ვადა:** 16 დეკემბერი 2019 წ.

## 5. საქართველოს ქალთა ფონდის საგრანტო კონკურსი

**გეოგრაფია** - საქართველო

ქალთა ფონდი საქართველოში აცხადებს საგრანტო კონკურსს "საქართველოში ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა", რომლის ფინანსური მხარდამჭერია "ფონდი ოქი"-ს ქალთა პროგრამა. საგრანტო პროგრამა მიზნად ისახავს ქალთა გაძლიერებას და ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა ქალთა ჯგუფებს თუ ქალთა უფლებების დამცველ აქტივისტებს საშუალებას მისცემს განახორციელონ შემდეგი ინტერვენციები:

ფემინისტური საგანმანათლებლო ინიციატივები (ვორქშოპები, ტრენინგები და სხვ.) კანონმდებლობის და პოლიტიკის ადვოკატირება, ფემინისტების, ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტების, ქალთა ორგანიზაციების/ჯგუფების კოლექტიური ინიციატივები და მათი შესაძლებლობების ზრდა; შემოქმედებითი ინიციატივები, მიმართული ქალთა მოძრაობის განვითარებასა და ცვლილების გამონწვევაზე

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქალთა ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს (რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს) და ქსელებს, საქართველოს დედაქალაქიდან და რეგიონებიდან.

საგრანტო თანხის მაქსიმუმი შეადგენს 5000 დოლარს. პროექტების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 6-8 თვემდე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2P1EvQd>

**განაცხადის ვადა:** 18 დეკემბერი 2019 წ.

## 6. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საგრანტო კონკურსი

**გეოგრაფია** - საქართველო

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) მიმდინარე პროექტის ფარგლებში მეორე კონკურსს აცხადებს People-to-People (P2P) APS No. 7200AA19APS00015.

მეორე ტურში USAID მიიღებს კონცეფციებს, რომლებშიც გამოყენებული იქნება კონფლიქტურ ტერიტორიებზე ხალხთა შორის შერიგების მიდგომები, კონფლიქტის მართვა და მშვიდობის დამყარება.

და ასევე შეეცდება კონფლიქტით და ძალადობით დაზარალებულ მოსახლეობას დახმარება ინოვაციური გზით აღმოუჩინოს. მეორე ტური ვრცელდება USAID-ის 7 მისიაში, მათ შორის საქართველოში.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2RyudJ4>

**განაცხადის ვადა:** 18 დეკემბერი 2019 წ.

## 7. სტაჟირება Associated Press-ში

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Associated Press <http://www.ap.org/> საბაზო სტაჟირებაზე განაცხადის შეტანა შეუძლიათ სტუდენტებს და ასევე ახალ კურსდამთავრებულებს. სტაჟირება შედგება 12 კვირისაგან (Global News General Assignment Internship Program) და შემუშავებულია ჟურნალისტებისთვის რომელთაც მრავალფორმატიანი ჟურნალისტიკის შესწავლა სურთ.

სტაჟირება შეთავაზებულია ამერიკის 4 ქალაქში - მაიამი, ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო და ვაშინგტონი. ასევე მსოფლიოს სხვა ოთხ ქალაქში - იერუსალიმი, ლონდონი, ნიუ-დელი და რომი.

სტაჟირებები შექმნიან ტექსტურ, ფოტო და ვიდეო რეპორტაჟებს და გააშუქებენ ახალ ამბებს.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2qD2U5i>

**განაცხადის ვადა:** 21 დეკემბერი 2019 წ.

## 8. გაეროს გრანტი პროექტებისთვის

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

გაეროს დემოკრატიის ფონდი იწვევს **სამოქალაქო** ორგანიზაციებს წარადგინონ საგრანტო განაცხადები პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად, რომელთა მიზანია დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა. გრანტების ოდენობა მერყეობს 100 000-დან 300 000 დოლარამდე.

განაცხადის შეტანა შეუძლიათ ორგანიზაციებს რომლებიც მუშაობენ მედიის, ინფორმაციის თავისუფლების, ახალგაზრდების ჩართულობის, ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერების, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის მიმართულებით.

განიხილება ორ წელიწადზე გათვლილი პროექტები. განაცხადი უნდა ესატყვისებოდეს ერთ ან რამდენიმე თემას: გენდერული თანაბრობა, ადამიანის უფლებები, ახალგაზრდების ჩართულობა, კანონის უზენაესობა, მედია და ინფორმაციის თავისუფლება, არჩევნები, ცოდნის ამაღლების ინსტრუმენტები.

განაცხადები მიიღება ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2P5F77v>

**განაცხადის ვადა:** 22 დეკემბერი 2019 წ.

## 9. Filmmakers Without Borders-ის საგრანტო კონკურსი

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Filmmakers Without Borders გთავაზობთ გრანტებს მხატვრულ, დოკუმენტურ და ექსპერიმენტულ პროექტებზე სამუშაოდ. მედია პროექტები შესაძლებელია იყოს მომზადების სხვადასხვა ეტაპზე. განაცხადის შეტანა შეუძლიათ როგორც გამოცდილ ისე დამწყებ ავტორებს.

გრანტის ოდენობა მერყეობს 100-დან 5 000 დოლარამდე და შეიძლება დაფაროს მოსამზადებელი პერიოდი, წარმოება, პოსტ პროდაქშენი და ფესტივალებზე განაცხადების წარდგენა.

განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ სხვადასხვა მასალა და საპროექტო წინადადება..

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2rms4oK>

**განაცხადის ვადა:** 1 იანვარი 2020 წ.

## 10. ნიუ-იორკის სასტიპენდიო პროგრამა ბიზნეს ჟურნალისტიკის მიმართულებით

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

საქმიანი ჟურნალისტიკის ცენტრი McGraw და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის CUNY-ის ჟურნალისტური სკოლა <https://www.journalism.cuny.edu/> ჟურნალისტებს, რომლებიც სპეციალიზირდებიან ბიზნესის და გლობალური ეკონომიკის თემებზე, სთავაზობს სასტიპენდიო პროგრამას.

სტიპენდია გათვლილია 1-დან 3 თვემდე და შეადგენს თვეში 5000 ამერიკულ დოლარს. სასტიპენდიო პროგრამა უზრუნველყოფს ფინანსურთან ერთად სარედაქციო მხარდაჭერას, შრომატევად და რთულ თემებზე მუშაობისას. პრეტენდენტებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2Np75tL>

**განაცხადის ვადა:** 10 იანვარი 2020 წ.

## 11. ფოტოკონკურსი

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Transparency and Accountability Initiative-ს საგრანტო კონკურსი მიმართულია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების საკითხებზე მსჯელობის სტიმულირებისაკენ. პროექტი საშუალებას აძლევს ფოტოგრაფებს ამ საკითხებზე იმუშაონ. გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი ფოტოჟურნალისტებით. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც გამოცდილ ისე დამწყებ ფოტოგრაფებს 18 წელს ზემოთ.

გამარჯვებული გამოვლინდება 2020 წლის თებერვალში. ის გრანტის სახით მიიღებს 8 000 დოლარს, რაც მისი პროექტის განხორციელებას უნდა მოხმარდეს. უნდა მოამზადოს მინიმუმ 30 ფოტო, დაკავშირებული სახელმწიფო და კორპორატიულ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2sY6szP>

**განაცხადის ვადა:** 13 იანვარი 2020 წ.

## 12. National Geographic-ის გრანტი

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

National Geographic აცხადებს განაცხადების მიღებას შემდეგ საგრანტო მიმართულებაზე-Exploration Grant. შესაძლო პროექტები მოიცავს: ფოტოგრაფიას, ფილმზე მუშაობას, კარტოგრაფიას და ჟურნალისტიკას. პროექტების თემატიკა უნდა შეეხებოდეს სამთავან ერთ-ერთ მიმართულებას: ველური ბუნება, ცვალებადი პლანეტა და მოგზაურობა.

შერჩეული პროექტები მიიღებენ გრანტებს 10 000-დან 30 000 დოლარამდე ოდენობით. განმცხადებლებმა უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ აქვთ მსგავსი პროექტების წარმატებით განხორციელების გამოცდილება.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/34lpgAr>

**განაცხადის ვადა:** 15 იანვარი 2020 წ.



## 13. მიგრაციის თემაზე შექმნილი ფილმების ფესტივალი

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

ფონდი „სლოვენსკაია ფილანტროპია“ <http://www.filantropija.org/> იწვევს მონაწილეებს საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. Migrant Film გაიმართება სლოვენის დედაქალაქში ლუბლიანაში 2020 წლის ივნისში. ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც მხატვრული ისე დოკუმენტური ჟანრის ფილმების ავტორებს, რომლებიც შექმნილი მიგრაციის საკითხებზე.

მიიღება ფილმები ნებისმიერ ენაზე, თუმცა უცხო ენებზე შესრულებულ საკონკურსო ნამუშევრებს უნდა ახლდეს სუბტიტრები ინგლისურად ან სლოვენურად. მონაწილეობა უფასოა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/340e1CP>

**განაცხადის ვადა:** 15 იანვარი 2020 წ.

## 14. დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

**გეოგრაფია:** სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, რუსეთი

ფესტივალი goEast, გერმანული კინოინსტიტუტის პროექტი, გაიმართება 2020 წელს 5-დან 11 მაისის ჩათვლით ვისბადენში, გერმანია. ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სრულმეტრაჟიანი ფილმების ავტორებს. საკონკურსოდ მიიღება როგორც დოკუმენტური ისე მხატვრული ფილმები არანაკლებ 60 წუთისა. ფილმები უნდა იყოს შექმნილი 2019-2020 წლებში. ფილმები მიიღება ორიგინალ ენაზე ინგლისური სუბტიტრების თანხლებით. კონკურსის ფარგლებს გაიცემა პრიზები 4 000-დან 10 000 ევრომდე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2P3Zams>

**განაცხადის ვადა:** 15 იანვარი 2020 წ.

## 15. პრემია საგამოძიებო ჟურნალისტიკაში

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Sidney Hillman-ის ფონდი გასცემს ჰილმანის პრემიას საგამოძიებო ჟურნალისტიკაში საზოგადოების სიკეთისთვის მიმართული ნამუშევრებისათვის.

კონკურსში, რომლის მთავარი პრიზია 5 000 დოლარი, შეუძლიათ ჩაერთონ ჟურნალისტები და ფოტოგრაფები მთელი მსოფლიოდან.

წელს ნამუშევრები მიიღება შემდეგ კატეგორიებში: წიგნი, მასალა ან მასალების სერია, განთავსებულია ბეჭდურ ან ონლაინ მედიაში, გადაცემული ტელეეთერს თუ რადიოში (მასალები არანაკლებ 20 წუთისა). ფულადი პრემიის გარდა მონაწილეებს დაუფინანსდებათ ნიუ-იორკში დაჯილდოების ცერემონიაზე გამგზავრება, რომელიც გაიმართება 2020 წლის 4 მაისს.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/353giP0>

**განაცხადის ვადა:** 30 იანვარი 2020 წ.

## 16. პრემია საუკეთესო საგამოძიებო მასალისთვის, რომელიც კორუფციასა და მექრთამეობას ეხება

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

TRACE International, რომლის საქმიანობაც ქრთამის და მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება, ორგანიზებას უწევს კონკურსს საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის გამოსავლენად. კონკურსის მიზანია ბიზნესში გამჭვირვალობის დონის ამაღლების ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბლოგერებს, ჟურნალისტებს, რომელთა მასალები აღნიშნულ თემატიკას ეხება. ნამუშევრები უნდა იყოს გამოქვეყნებული 2019 წლის განმავლობაში. ნამუშევრებს უნდა ახლდეს თარგმანი ინგლისურ ენაზე.

კონკურსის შედეგად შეირჩევა ერთი ან ორი გამარჯვებული, თითოეული ჯილდოს სახით მიიღებს პრიზს 10 000 დოლარის ოდენობით, ასევე დაუფინანსდებათ მგზავრობა TRACE International კონფერენციაზე, რომელიც 2020 წლის ზაფხულში გაიმართება.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/352jY3D>

**განაცხადის ვადა:** 31 იანვარი 2020 წ.

## 17. სასტიპენდიო პროგრამა ჟურნალისტებისთვის ოქსფორდში

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

როიტერის ჟურნალისტიკის შესწავლის ინსტიტუტი იღებს განაცხადებს ჟურნალისტების სასტიპენდიო პროგრამაზე, რომელიც 2020 წლის ოქტომბერში ან 2021 წლის იანვარში დაიწყება და 3-დან 6 თვემდე გაგრძელდება.

პროგრამა ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან საშუალებას აძლევს განახორციელოს შერჩეული თემის კვლევა სპეციალისტების ხელმძღვანელობის ქვეშ.

სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შევსება შეუძლიათ ჟურნალისტებს არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებით. ინგლისურის ენის მაღალ დონეზე ცოდნა აუცილებელია..

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2E0mc7v>

**განაცხადის ვადა:** 3 თებერვალი 2020 წ.

## 18. პროგრამა ჟურნალისტებისთვის, მთავარი რედაქტორებისა და გამომცემლებისთვის

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

რიგის მასშედიის შემსწავლელი ცენტრი იწყებს ოთხმოდულიან პროგრამას ჟურნალისტებისთვის, რედაქტორებისთვის და გამომცემლებისთვის.

პროგრამა განკუთვნილია ჟურნალისტებისა და მედია მენეჯერებისთვის, რომელთაც სურთ გაიუმჯობესონ მმართველობითი უნარები, აიმაღლონ კრეატიულობა და სტრატეგიული აზროვნება, ასევე გაეცნონ უახლეს ტენდენციებს და მონეტიზაციის ხერხებს.

პროგრამა უზრუნველყოფს სანყის მომზადებას ძირითადი საქმიანი უნარების მიმართულებით..

**დანვრილებით:** <https://bit.ly/38lL1Zu>.

**განაცხადის ვადა:** 15 მარტი 2020 წ.

## 19. სტიპენდია ჟურნალისტებისთვის რომლებიც იღვენებიან

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

პროგრამა Logan Nonfiction მიმართულია აამაღლოს მდგრადობა, ხელი შეუწყოს პროფესიულ განვითარებას და შექმნას ისეთი პუბლიცისტების, მწერლების, ფოტოჟურნალისტების და დოკუმენტალისტების გაერთიანება, რომლებიც საკუთარი საქმიანობის გამო იღვენებიან.

მინვეული ჟურნალისტები 5-დან 10 კვირის განმავლობაში გაივლიან პრაქტიკას ქერის სახელობის გლობალური კეთილდღეობის ინსტიტუტში, Logan Nonfiction-ის სტიპენდიანტთა დიდ ჯგუფთან ერთად.

სტიპენდიის შინაარსიდან და თვისებებიდან გამომდინარე ( სტიპენდიანტები უნდა იყონ თვითკმარი) ის არ შეესაბამება ადამიანებს, რომლთაც კრიზისული სიტუაცია აქვთ.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2s55z86>

## 20. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

**გეოგრაფია**- მთელი მსოფლიო

Eyebeam Center for the Future of Journalism Craig Newmark Philanthropies მხარდაჭერით, გთავაზობთ 500-დან 5000 დოლარამდე გრანტებს, ჟურნალისტების და მხატვრების ერთობლივი ჟურნალისტური ნამუშევრისთვის. განაცხადის შეტანა შეუძლიათ, მხატვრებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც მუშაობენ ინოვაციურ და მამხილებელ ჟურნალისტურ პროექტებზე. საგრანტო პროექტები, შეიძლება იყოს გათვლილი ხანგრძლივ პერიოდზე და შეიცავდეს ფოტო, აუდიო, ვიდეო და ტექსტუალურ მასალებს. შესაძლო თემები: მონაცემთან კონფიდენციალურობა, 2018-2020 წლის არჩევნები, ტექნოლოგიების როლი, პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებელი კამპანიები, კვლევა თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგიების საზოგადოების საზიანოდ, ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაციასთან ბრძოლა. განაცხადები მიიღებ ინგლისურ ენაზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2GU68Gz>

© **Baltic Centre for Media Excellence, 2019**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

**შემდგენები:**

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული

**ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:**

- [jobs.thomsonreuters.com](http://jobs.thomsonreuters.com)
- [iwmf.submittable.com](http://iwmf.submittable.com)
- [humanrightscolumbia.org](http://humanrightscolumbia.org)
- [moneytrail.journalismfund.eu](http://moneytrail.journalismfund.eu)
- [jobs.ge](http://jobs.ge)
- [careers.ap.org](http://careers.ap.org)
- [un.org](http://un.org)
- [filmmakerswithoutborders.org](http://filmmakerswithoutborders.org)
- [mcgrawcenter.org](http://mcgrawcenter.org)
- [www.transparency-initiative.org](http://www.transparency-initiative.org)
- [nationalgeographic.org](http://nationalgeographic.org)
- [fmf-slovenija.si](http://fmf-slovenija.si)
- [hillmanfoundation.org](http://hillmanfoundation.org)
- [traceinternational.org](http://traceinternational.org)
- [reutersinstitute.politics.ox.ac.uk](http://reutersinstitute.politics.ox.ac.uk)
- [mediamanagement.lv](http://mediamanagement.lv)
- [docs.google.com](http://docs.google.com)
- [eyebeam.org](http://eyebeam.org)